თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლა
(Major)

საჯარო მმართველობა
(Public Administration)

მიმართულება: მიმართულებათშორისი

პროგრამის ხელმძღვანელები:

ასოცირებული პროფესორი ირმა შიოშვილი

ასოცირებული პროფესორი ნინო კახაშვილი

ასოცირებული პროფესორი თენგიზ სიმაშვილი

1. რეკომენდებულია სკოლია და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ

ოქმი № _____, „_____“ _____ 201___წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის ხელმძღვანელი: დ. მჭედლიშვილი

2. მიღებულია სკოლის საბჭოს მიერ

ოქმი №_____, „_____“ _____ 201___წ.

ფაკულტეტის დეკანი ი. შიოშვილი

3. მიღებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
სკოლის საბჭოს მიერ
დეკანი: მ. ცირეკიძე
ოქმი №_____, „_____“ _____ 201___წ.

4. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

ოქმი №_____, „_____“ _____ 201___წ.

უნივერსიტეტის რექტორი თ. ჯავახიშვილი

თელავი 2011

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლა

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

მსოფლიო ისტორიის დეპარტამენტი

საჯარო მმართველობა
(Public Administration)

პროგრამის ხელმძღვანელები:

HH

ასოცირებული პროფესორი ირმა შიოშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონები: (599)194422; ელ.ფოსტა: shioshvili-irma@rambler.ru

ასოცირებული პროფესორი თენგიზ სიმაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონები: (597)051551; ელ.ფოსტა: tengris@yahoo.com

ასოცირებული პროფესორი ნინო კახაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონები: (593)343326; ელ.ფოსტა: ninokakhashvili@yahoo.com

აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი (Major)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი (**BA of Public Administration)**

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS კრედიტი, მათ შორის 120 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად (Major) სპეციალობაზე, რომელშიც 10 კრედიტი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, 10 კრედიტი - სასწავლო პრაქტიკას. 60 კრედიტი გათვალისწინებულია დამატებითი (Minor) სპეციალობისთვის ან თავისუფალი არჩევითი საგნებისათვის. 40 კრედიტი _ საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნებისთვის, 10 კრედიტი - შესავალი კურსებისთვის, 10 კრედიტი – თავისუფალი არჩევითი საგნებისათვის. ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც

სააუდიტორიო, ისე დამოუკიდებელ მუშაობას. ამასთან, სააუდიტორიო მუშაობა შეადგენს დატვირთვის დაახლოებით მესამედს, ხოლო ორი მესამედი _ დამოუკიდებელი მუშაობის წილად მოდის.

სწავლების ფორმები და მეთოდი: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო, პრეზენტაცია, ტესტირება, პრაქტიკა, დისკუსია, დებატები. ჯგუფური მუშაობა, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. სტუდენტისთვის სავალდებულოა უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმება, აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის გავლა.

2012-2013 სასწავლო წლიდან სტუდენტის ჩარიცხვა ხდება კონკრეტულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია:

- შრომითი ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება;
- კვალიფიციური, შემოქმედებითი, მაღალი მოქალაქეობრივი და ეთიკური ღირებულებებით აღჭურვილი პროფესიონალი საჯარო მოხელის მომზადება; აგრეთვე, პროგრამის მიზანია:
- მომავალ საჯარო მოხელეს მისცეს ფართო ცოდნა საჯარო მმართველობის

  შესახებ, ფართო ცოდნა საჯარო სამართლის, მენეჯმენტისა და სოციალურ-

  ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითადი პრინციპების შესახებ;
- გამოუმუშაოს სტუდენტს პროფესიული პასუხისმგებლობა და განუვითაროს ის უნარები, რომელებიც განაპირობებენ მის წარმატებულ სამსახურებრივ კარიერას;
- შეიძინოს პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის და ცოდნის ეფექტურად გამოყენების უნარი;
- შეიძინოს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების, მოქალაქეობრივი ღირებულებების დაცვის უნარი;

- გამოუმუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- შეძლოს საზოგადოების ფართო ფენებთან და ჟურნალისტებთან წარმატებული ურთიერთობა;

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფართო ცოდნა. შეუძლია თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.	აქვს საჯარო სამართლის, მენეჯმენტისა და სოციალურ-ჰუმანიტარული დისციპლინების ძირითადი პრინციპების ფართო ცოდნა. გაცნობიერებული აქვს კონსტიტუციური, ადმინისტრაციული და მუნიციპალური სამართლის საფუძვლები. დეონტოლოგიის საკითხები საჯარო სამსახურში; საჯარო სამართლის პრინციპები და ინსტიტუტები, საქმის წარმოების არსი და მნიშვნელობა, საგადასახადო და საფინანსო სამართლის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები. გაცნობიერებული აქვს საზოგადოების თვისობრივი თავისებურებები, სოციალური პროცესის ლოგიკა, თანამედროვე სოციალური გარემო. გაცნობიერებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის არსი და დანიშნულება, PR-სა და პროპაგანდას შორის არსებითი განსხვავება, PR-ისა და მედიის ურთიერთმიმართება, მედია ეთიკის და მედია სამართლის ძირითადი პრინციპები. აქვს თეორიული ცოდნა საჯარო ორგანიზაციების მართვასა და პერსონალის მართვის შესახებ. შესწავლილი აქვს სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების კატეგორიათა სისტემა. გაცნობიერებული აქვს დიპლომატიის როლი პოლიტიკური კონფლიქტების მართვაში. დაუფლებულია პოლიტიკური

		ხელისუფლების სხვადასხვა თეორიებს. შესწავლილი აქვს ბოლო ათწლეულში ქართულ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	გამომუშავებული აქვს ის უნარები, რომლებიც განაპირობებენ მის წარმატებულ სამსახურებრივ კარიერას. შეეძლება უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისი მოქმედება. ჩაერთვება პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებაში (მითითებების შესაბამისად). შეეძლება პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა. ექნება შესაბამისი პროცედურების დაცვითა და სამართლებრივი საშუალებების გამოყენებით მოქმედების უნარი.	აქვს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული საკითხების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის უნარი. შესძლებს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ამოცანათა შესრულებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სპეციფიკის გათვალისწინებით. შეძლებს საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ამოცანათა შესრულებას; საფინანსო დოკუმენტების შევსებას, დამუშავებას და წარდგენას შესაბამის ორგანოებში, სხვადასხვა საფინანსო ოპერაციების კანონიერად წარმართვას, საგადასახადო სისტემასთან სწორი და კანონიერი სამართლებრივი ურთიერთობების წარმართვას, საჯარო ორგანიზაციების და პერსონალის მართვას, ადამიანური რესურსების დაქირავებასთან, განვითარებასთან, კონფლიქტების მოგვარებასთან, ორგანიზაციის კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებული ამოცანების შესარულებას. პოლიტიკური თეორიების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ძირითადი მესიჯების ჩამოყალიბებას და საზოგადოებისთვის მათ მიწოდებას.
დასკვნის უნარი	შეეძლება საჭირო ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება-ანალიზი; ასევე ექნება სიტუაციების ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი.	ჩამოყალიბებული აქვს მრავალმხრივი აზროვნების უნარი. შეუძლია პრაქტიკული მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების დანახვა, მათი ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების გამოტანა და მოგვარების გზების დასახვა. სხვადასხვა მმართველობითი თეორიების დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა და სათანადო დასკვნების გამოტანა. შეუძლია დამაჯერებლად განავითაროს და დაასაბუთოს თავისი თვალსაზრისი, ადეკვატურად აღიქვას და

		გაანალიზოს საზოგადოებრივი პროცესები. აქვს პოლიტიკური და პიარ სიტუაციის, მოვლენების, ფაქტების შეფასების, ანალიზის და დასკვნის უნარი. სტუდენტი შესძლებს საჯარო სამსახურებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის შერჩეული მიდგომის დასაბუთებას.
კომუნიკაციის უნარი	აქვს იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი. ასევე შეუძლია ინფორმაციის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე. განვითარებული აქვს ჯგუფური მუშაობის უნარი. შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება	შეეძლება საზოგადოების ფართო ფენებთან, ასევე მედიის წარმომადგენლებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ექნება დებატებში ჩართვისა და საკუთარი პოზიციის ეფექტურად მიწოდების, ასევე განსხვავებული შეხედულებების გაზიარების უნარები. შეეძლება წარმართოს არგუმენტირებული მსჯელობა საჯარო მმართველობის პრობლემებთან დაკავშირებულ თემებზე, შეეძლება ორგანიზაციული კომუნიკაციების ეფექტური გამოყენება. შეეძლება მომგებიანად გამოიყენოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების ცოდნა პერსონალურ თუ საჯარო ურთიერთობებში. შეეძლება კომუნიკაცია კრიზისული და ექსტრემალური სიტუაციების პირობებში. გამომუშავებული ექნება პრეზენტაციის უნარი.
სწავლის უნარი	აქვს სწავლის პროცესის თანმიმდევრულად დაგეგმვის და მრავალმხრივად შეფასების უნარი. აქვს ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.	აქვს საკანონმდებლო ცვლილებების მიდევნებისა და შესაბამისად, ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. შეუძლია საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება, ასევე სრულფასოვანი მუშაობის წესების ათვისება. პროგრამის სათანადოდ ათვისება სტუდენტებს შეუქმნის მოტივაციას ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის.

ღირებულებები	აქვს ღირებულებების იდენტიფიცირების უნარი. შეეძლება მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების ფორმირების პროცესში და მოახდინოს მათი საზოგადოებაში დამკვიდრება.	იცავს საჯარო მოხელისათვის აუცილებელ ეთიკურ ღირებულებებს. პატივს სცემს ეთიკური ქცევის ნორმებს და ახდენს მათ დამკვიდრებას. საკუთარ გამოცდილებას უზიარებს კოლეგებსა და საზოგადოებას. ითვალისწინებს და პატივს სცემს პროფესიონალთა აზრს. ითვალისწინებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას. აცნობიერებს საჯარო სამსახურში დეონტოლოგიური ღირებულებების მნიშვნელობას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია სწავლისთვის ადექვატური გარემო. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს საჯარო სამართლის მოდულით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისებაში და უზრუნველყოფს მათ სათანადო ლიტერატურით. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებულ ლიტერატურაზე. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის. კომპიუტერულ ცენტრებში არსებული ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების მისაღწევად ასევე გამოყენებული იქნება პროექორები და სხვა ტექნიკური საშუალებები.

დასაქმების სფერო:

სპეციალობის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო საჯარო, ასევე კერძო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში, ასევე სამსახურებში, რომლებიც მოითხოვს შესაბამის კვალიფიკაციას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება უპირატესობა იმუშაოს საჯარო დაწესებულებებში.

სწავლის გაგრძელების მსურველებს შეეძლებათ სამართალმცოდნეობის, სოციალური მეცნიერებების, ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, სოციოლოგიის, კულტუროლოგიის სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა და საერთოდ, ყველა იმ სამაგისტრო პროგრამის გავლა, რომლებიც სამართლის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფილს შეესაბამება.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვროს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვროს შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწეროს არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდეს შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცეს შესაბამისი სკოლის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. სასურველია, რომ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევდეს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

2) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

3) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი სკოლის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა სკოლის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. სკოლაში შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მას შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს შესაბამისი სკოლის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი სკოლის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა სკოლის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. სკოლაში შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, სკოლის დეკანი, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავენ სტუდენტის ნაწერს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

შუალედური წერითი გამოცდებისა და დასკვნითი გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტში შექმნილი საგამოცდო ცენტრი.

ადამიანური რესურსი:

მოწვ. სპეციალისტი, პროფ. გ. გიორგაძე _საჯარო სამართლის მიმრთულებით

ასისტ. პროფ. კ. ფაჩოშვილი _საჯარო სამართლის მიმრთულებით

მოწვ. მასწ. ა. უსტიაშვილი _სამართლის მიმართულებით

მოწვ. მასწ. ნ. ნემსიწვერიძე _სამართლის მიმართულებით

ასოც. პროფესორი ი. ჯიმშიტაშვილი_მენეჯმენტის მიმართულებით

ასოც. პროფესორი ნ. რინკიაშვილი_ეკონომიკის მიმართულებით

მოწვ. მასწ. გ. კიპაროიძე_მოწვეული დოქტორი ეკონომიკის მიმართულებით

ასოც. პროფესორი თ. სიმაშვილი_მსოფლიო ისტორიის მიმართულებით

ასოც. პროფესორი ი. შიოშვილი_ფილოსოფიის მიმართულებით

ასოც. პროფესორი მ. ცირეკიძე_საქართველოს ისტორიის მიმართულებით

ასოც. პროფესორი ლ. კუტუბიძე_ჟურნალისტიკის მიმართულებით

ასოც. პროფესორი ნ. კახაშვილი_ჟურნალისტიკის მიმართულებით

შენიშვნა: პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, შესაბამის კათედრებზე და ლექტორთა პირად ბიბლიოთეკებში.

#	მოდული/სასწავლო კურსი	სტატუსი	კრედიტი	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით								საათების განაწილება						სულ საათები	საათების რაოდენობა კვირაში		
				I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო					დამოუკიდებელი				
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	ლექცია	პრაქტიკული სამუშაო	laboratoriuli სამუშაო	სემინარი	სულ:			ლექცია	სემინარი	სულ:
	საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები	**სავალდ.**	**40**																		
1.	უცხო ენა	სავალდ.	30	5	5	5	5	5	5			90			180	270	480	750	1	2	3
2.	აკადემიური წერა	სავალდ.	5			5						15			30	45	80	125	1	2	3
3.	საინფორმაციო ტექნოლოგიები	სავალდ.	5	5								15			30	45	80	125	1	2	3
	შესავალი კურსები	**სავალდ.**	**10**																		
4	შესავალი კურსი ეკონომიკაში	სავალდ.	2	2								15			15	30	20	50	1	1	2
5	შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში	სავალდ.	2	2								15			15	30	20	50	1	1	2
6	ფილოსოფიის შესავალი	სავალდ.	2	2								15			15	30	20	50	1	1	2
7	შესავალი სამართალმცოდნე	სავალდ.	2	2								15			15	30	20	50	1	1	2

	ობაში																				
8	შესავალი ჟურნალისტიკაში	სავალდ.	2	2								15			15	30	20	50	1	1	2
	ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები	**სავალდ.**	**120**																		
9	საჯარო ხელისუფლება და მისი ორგანიზაცია	სავალდ	5	5								15			30	45	80	125	1	2	3
10	ზოგადი ადმინისტრაციური სამართალი	სავალდ.	5			5						15			30	45	80	125	1	2	3
11	კონსტიტუციური სამართალი	სავალდ.	5		5							15			30	45	80	125	1	2	3
12	საჯარო სამსახური და სამსახურებრივი დეონტოლოგია	სავალდ.	5							5		15			30	45	80	125	1	2	3
13	საარჩევნო სამართალი	სავალდ.	5			5						15			30	45	80	125	1	2	3
14	მუნიციპალური სამართალი	სავალდ.	5				5					15			30	45	80	125	1	1	2
15	საქმის წარმოება საჯარო მმართველობაში	სავალდ.	5						5			15			30	45	80	125	1	1	2

16	საფინანსო სამართალი	სავალდ.	5					5				15			30	45	80	125	1	2	3
17	საგადასახადო სამართალი	სავალდ.	5							5		15			30	45	80	125	1	2	3
18	ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა	სავალდ.	5							5		15			30	45	80	125	1	2	3
19	პერსონალის მართვა	სავალდ.	5				5					15			30	45	80	125	1	2	3
20	ანტიკრიზისული მართვა	სავალდ.	4						4			15			15	30	70	100	1	1	2
21	სოციალური ფილოსოფია	სავალდ.	5			5						15			30	45	80	125	1	2	3
22	სოციალური ფსიქოლოგია	სავალდ.	5		5							15			30	45	80	125	1	2	3
23 24	-პოლიტიკური კონფლიქტის მართვა _ტერორიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები	არჩევ.	5					5				15			30	45	80	125	1	2	3
25	პოლიტიკური ხელისუფლების თეორია	სავალდ.	5		5							15			30	45	80	125	1	2	3
26	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში	სავალდ.	5				5					15			30	45	80	125	1	2	3
27	-საქართველოს ისტორია -მსოფლიო ცივილ.	არჩევ.	5		5							15			30	45	80	125	1	2	3

28	ისტორია																				
29	ორგანიზაციის მართვა	სავალდ.	**5**				5					15			30	45	80	125	1	2	3
30	PR ტექნოლოგიები	სავალდ.	**3**						3			15			15	30	45	75	1	1	2
31 32	ა)მედია სამართალი ბ) მედია ეთიკა	არჩევ.	3						3			15			15	30	45	75	1	1	2
34	პროფესიული პრაქტიკა	სავალდ.	10								10		60			60	190	250			
35	**საბაკალავრო ნაშრომი**	სავალდ.	10								10	10				10	240	250			
36	**თავისუფალი კრედიტები**	სავალდ.	**10**					**5**	**5**			30			30	60	190	250	1	1	2
37	**minor/თავისუფალი არჩევითი**	სავალდ.	**60**			10	10	10	10	10	10	180			180	360	1140	1500	1	1	2
	სულ:		**240**	**25**	**25**	**35**	**35**	**30**	**35**	**25**	**30**	**730**	**60**		**1110**	**1900**	**4100**	**6000**			

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: საჯარო მმართველობა

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

#	მოდული/სასწავლო კურსი	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები	ძირითადი ლიტერატურა
1.	საჯარო ხელისუფლება და მისი ორგანიზაცია		I	4	სავალდ.		პროფ. გ. გიორგაძე, ასისტ. პროფ. კ. ფაჩოშვილი	1. იზორია ლ. *თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე დემოკრატია*, თბილისი, 2008, გამომცემლობა ,,სიესტა” *2.* ბერიუსი გ. რუხაძე ზ. კვაჭაძე მ. გაფრინდაშვილი ლ. იზორია ლ. *დემოკრატია და მოქალაქეობა*, თბილისი, 2011

2	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	S.1.L.12	II	5	სავალდ.	საჯარო ხელისუფლება და მისი ორგანიზაცია	პროფ. გ. გიორგაძე, ასისტ. პროფ. კ. ფაჩოშვილი	saqarTvelos konstitucia; saqarTvelos organuli kanoni ,,moqalaqeobis Sesaxeb", 1993 wlis 25 marti;
3.	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	S.1.L.09	III	5	სავალდ.	1.საჯარო ხელისუფლება და მისი ორგანიზაცია 2.საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	პროფ. გ. გიორგაძე, ასისტ. პროფ. კ. ფაჩოშვილი	საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
4	საარჩევნო სამართალი	S.1.L.47	III	4	სავალდებულო	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	მოწვ. მასწ. ა. უსტიაშვილი	საქართველოს კონსტიტუცია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. საქართველოს საარჩევნო კოდექსი.
3	საჯარო სამსახური და სამსახურებრივი დეონტოლოგია	S.1.L.63	VII	5	სავალდებულო	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	პროფ. გ. გიორგაძე, ასისტ. პროფ. კ. ფაჩოშვილი	საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ", 1997 წ. 31 ოქტომბერი;

5	მუნიციპალური სამართალი	S.1.L.49	IV	5	სავალდებულო	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	პროფ. გ. გიორგაძე, ასისტ. პროფ. კ. ფაჩოშვილი	საქართველოს კონსტიტუცია; ევროპის ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ; საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", 2005 წლის 16 დეკემბერი'';
6	საქმის წარმოება საჯარო მმართველობაში	S.1.L.22	VI	5	სავალდებულო	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	პროფ. გ. გიორგაძე, ასისტ. პროფ. კ. ფაჩოშვილი	საქართველოს კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", 2009 წლის 22 ოქტომბერი; საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის 414 ბრძანებულება "საქმისწარმოების ერთიანი წესების" დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ"
7	საფინანსო სამართალი	S.1.L.62	V	5	სავალდებულო	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	მოწვ. პროფ. გ. კიპაროიძე	*შენგელია რ; საფინანსო სამართალი 2004 წ.* *კანონები ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების შესახებ*

8	საგადასახადო სამართალი	S.1.L.53	VII	5	სავალდებულო	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი საფინანსო სამართალი	მოწვ. პროფ. გ. კიპაროიძე	საქართველოს საგადასახადო კოდექსი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს ადმინისტრციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.
9	ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა	S.1.E.06	VII	5	სავალდებულო	საფინანსო სამართალი	ასოც. პროფესორი ნ. რინკიაშვილი	კაკულია, რ., (2007). ფინანსების თეორია, მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი. ,,თერგი",
10	პერსონალის მართვა	S.1.E.16	IV	5	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი ი. ჯიმშიტაშვილი	პაიჭაძე, ნ. (რედ.), (2009), *ადამიანური რესურსების მართვა*. თბილისი: სამთავისი (იხ. სახელმძღვანელო I). წიგნი ხელმისაწვდომია ეკონომიკის კათედრაზე.
11	ანტიკრიზისული მართვა	S.1.E.15	VI	4	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი ი. ჯიმშიტაშვილი	ჟარკოვსკაია, ე.პ., ბროდსკი, ბ.ე., ბროდსკი, ი.ბ. (2009). ანტიკრიზისული მართვა. მოსკოვი: ომეგა-ელ.
12	სოციალური ფილოსოფია	S.1.P.05	III	3	სავალდებულო	ფილოსოფია	ასოც. პროფესორი ი. შიოშვილი	**ერქომაიშვილი, ვ. *ფილოსოფია.* თბილისი: კვართი.** **რამიშვილი ვალერიანი,(2010).*ფილოსოფია.*თბილისი:მერიდიანი.**

13	სოციალური ფსიქოლოგია	P.1.F.04	II	3	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი ი. შიოშვილი	რიდერი იმედაძე, ი. (2005 წ) ფსიქოლოგიის საფუძვლები. გამომცემლობა ,,ენა და კულტურა”
14 15	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა ტერორიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები	H.1.H.45	V	5	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი თ. სიმაშვილი	ჯორბენაძე, რ. (2001). პოლიტიკური კონფლიქტების მართვა. თბილისი: მეცნიერება ბიჭაშვილი, მ. (2001). ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. თბილისი: მეცნიერება
16	პოლიტიკური ხელისუფლების თეორია	H.1.H.43	II	4	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი თ. სიმაშვილი	გოგატიშვილი, მ., (2003). ,,ლექციები პოლიტიკური ხელისუფლების თეორიაში“ თბილისი: მეცნიერება რონდელი, ა., (2003). პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბილისი

17	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში	H.1.H.42	IV	5	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი თ. სიმაშვილი	მაცაბერიძე, მ., (2006), ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა სერია
18 19	საქართველოს ისტორია მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	H.1.H.41	II	3	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი მ. ცირეკიძე	ასათიანი, ნ., (1999), საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, გამომცემლობა ,,განათლება“, თბილისი ბენდიანიშვილი, ალ., (1999),, საქართველოს ისტორია 1801-1921 წლებში, გამომცემლობა ,,განათლება“, თბილისი
20	ორგანიზაციის მართვა	S.1.J.23	IV	5	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი ი. ჯიმშიტაშვილი	
21	PR ტექნოლოგიები	S.1.J.12	VI	3	სავალდებულო	არ აქვს	ასოც. პროფესორი ლ. კუტუბიძე	kapanaZe, l., xaxutaSvili, e., (2007). *sazogadoebasTan urTierToba*. Tbilisi: *emka*

22 23	ა)მედია ეთიკა ბ)მედია სამართალი	S.1.J.05 S.1.J.06	VI	3	არჩევითი	არ აქვს	ა) ასოც. პროფესორი ნ. კახაშვილი ბ) მოწვ. მასწ. ნ. ნემსიწვერიძე	ა) bertrani, k. (2004). media eTika da angariSvaldebulebis სისტემები ბ) ალფაიZe, T. (2008). *media da samarTali.* Tbilisi. ცაცანაშვილი, მ. მედია რთალი

სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საჯარო ხელისუფლება და მისი ორგანიზაცია	X		X		X	
ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	X	X	X	X		
კონსტიტუციური სამართალი	X			X		
საჯარო სამსახური და სამსახურებრივი დეონტოლოგია	X	X				
საარჩევნო სამართალი	X	X	X	X	X	X
მუნიციპალური სამართალი	X	X	X	X		
საქმის წარმოება საჯარო მმართველობაში	X	X		X		
საფინანსო სამართალი	X	X	X	X	X	X
საგადასახადო სამართალი	X	X	X	X	X	X
ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა	X	X		X		
პერსონალის მართვა	X	X		X	X	
ანტიკრიზისული მართვა	X	X			X	
სოციალური ფილოსოფია	X	X	X	X	X	X
სოციალური ფსიქოლოგია	X	X		X		
ა)პოლიტიკური კონფლიქტის მართვა ბ)ტერორიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები	X	X	X			X

პოლიტიკური ხელისუფლების თეორია	X	X	X			X
ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში	X	X	X			X
ა) საქართველოს ისტორია ბ) მსფლიო ცივილიზაციების ისტორია	X	X	X			X
ორგანიზაციის მართვა	X	X	X		X	
PR ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
ა)მედია სამართალი ბ)მედია ეთიკა	X	X	X	X	X	X
პროფესიული პრაქტიკა	X	X		X		
საბაკალავრო ნაშრომი	X	X	X	X	X	X

სასწავლო კურსების მოკლე ანოტაციები:

ანოტაციები

კონსტიტუციური სამართალი

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან კონსტიტუციური სამართლის საფუძვლებს, კონსტიტუციური სამართლის ინსტიტუტებს, ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, თავისუფლებებს და მოვალეობებს, ხელისუფლების შტოებს შორის უფლებამოსილებათა დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპებს.

ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლებს, ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, საქმისწარმოების სახეებს.

მუნიციპალური სამართალი

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მუნიციპალური სამართლის ინსტიტუტებს, მუნიციპალური სამართლის ისტორიას, ადგილობრივი თვითმართველობის ევროპულ ქარტიას, ქართული მუნიციპალიზმის თანამედროვე პრობლემებს.

საჯარო სამსახური და სამხახურებრივი დეონტოლოგია

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საჯარო სამსახურის არსს, საჯარო სამსახურის გავლას საჯარო ორგანოებში, საჯარო სამსახურის გავლას საზღვარგარეთის ქვეყნებში, დეონტოლოგიის საკითხებს საჯარო სამსახურში.

საარჩევნო სამართალი

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საარჩევნო სამართლის არსს, საარჩევნო სამართლის პრინციპებს, საარჩევნო სამართლის ინსტიტუტებს, საარჩევნო სამართლის სუბიექტებსა და მათ უფლებამოსილებებს, საარჩევნო პროცესს.

საქმის წარმოება

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საქმისწარმოების არსსა და მნიშვნელობას, მის პრინციპებს, საქმისწარმოების ორგანიზაციას, მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირებას, დოკუმენტბრუნვის ორგანიზაციას, დოკუმენტების გაფორმებას, დოკუმენტების შესრულების კონტროლს და მის ორგანიზაციას, საქმეთა გაფორმებას, არქივირებას, დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას

საგადასახადო სამართალი

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის სახეებს, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებსა და პასუხისმგებლობას მისი დარღვევისათვის, უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს.

სოციალური ფილოსოფია

სოციალური ფილოსოფიის, როგორც სოციალურ-ნორმატიული მოძღვრები დომინანტურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმების დადგენა და არა მისი განხილვა კონკრეტულ რეალობაში. მოცემული სალექციო კურსი აანალიზებს საზოგადოებრივ პრობლემებს, ერთი მხრივ თეორიული სოციოლოგიის და მეორე მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული დისციპლინების (ანთროპოლოგია, კულტუროლოგია, ფსიქოლოგია) კონტექსტში.

სასწავლო კურსის მიზანია აღწეროს საზოგადოების თვისობრივი თავისებურება, მისი კანონები, სოციალური იდეალები, გენეზისი და განვითარება, ბედი და პერსპექტივები, სოციალური პროცესის ლოგიკა.

სოციალური ფსიქოლოგია

სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც სწავლობს ადამიანთა ქცევასა და საქმიანობას სოციალურ ჯგუფში. Kკურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხები; როგორ ხდება ადამიანთა ჩართვა სოციალურ გარემოში, რას ფიქრობენ ადამიანები ერთმანეთზე და როგორ ექცევიან ერთმანეთს. რა განსაზღვრავს საკუთარი და სხვისი ქცევის ახსნას. რა განსხვავება და მსგავსებაა სქესთა შორის. როგორ განსაზღვრავს კულტურა ქცევას, რატომ ვემორჩილებით სოციალურ ზეწოლას, რა არის განწყობა და რწმენა, კონფორმიზმი და დამოუკიდებლობა, რა არის ჯგუფი და რა პროცესები მიმდინარეობს ჯგუფში, რამდენად განვიცდით ჯგუფის გავლენას.ახდენს თუ არა უმრავლესობა გავლენას უმცირესობაზე და პირიქით. რა იწვევს აგრესიას და რატომ ვეხმარებით სხვებს.

Kკურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს აქვთ ცოდნა თანამედროვე სოციალურ გარემოზე, ადამიანებთან და ზოგადად სოციუმთან ეფექტური ურთიერთობის ხერხებსა და საშუალებებზე.

PR ტექნოლოგიები

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს რთული ინტეგრირებული კომუნიკაციის _ საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) საფუძვლები, მისი დანიშნულება, ძირითადი მიმართულებები; მარკეტინგისა და სამომხმარებლო ბაზრის არსი და ჩამოყალიბების წინაპირობები; მასმედიისა და Pღ-ორგანიზაციების ურთიერთობის პრინციპები; მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი სამთავრობო და წინასაარჩევნო კომუნიკაციაში და ა.შ.

კურსი დაეხმარება სტუდენტებს გაიაზრონ სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობა თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის; მედიის, როგორც პოლიტტექნოლოგიური არსენალის უმნიშვნელოვანესი იარაღის შესაძლებლობები; გამოიმუშაონ თვითპრეზენტაციისა და გუნდური შემოქმედებითი მუშაობის უნარი, შეისწავლონ პრაქტიკული PR-ისა და ფაბლისითის საფუძვლები.

მედია სამართალი

კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ პროფესიონალების მიერ შემუშავებული მედია სამართლის ნორმები. გააცნობიერონ, როგორ შეინარჩუნონ

ჟურნალისტის პრესტიჟი, დამოუკიდებლობა და შეძლონ კარგი საზოგადოებრივი სამსახური. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ მედია სამართლის ქართული და საერთაშორისო სტანდარტები. მედიის უფლებები და ანგარიშვალდებულებები. შეძლებენ სამართლიანად და კეთილსინდისიერად შეასრულონ ჟურნალისტის მთავარი სოციალური ფუნქცია. კურსი საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაითავისონ პროფესიული სამართლის ნორმები და მოახდინონ მათი პრაქტიკაში დამკვიდრება.

მედია ეთიკა

კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ მედია ეთიკის პრინციპები და წესები. გააცნობიერონ, როგორ შეინარჩუნონ ჟურნალისტის პრესტიჟი და დამოუკიდებლობა, უზრუნველყონ კარგი საზოგადოებრივი სამსახური. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ როგორ იხელმძღვანელონ ეთიკური კრიტერიუმებით. დაიცვან როგორც საკუთარი, ასევე იმ მკითხველის თუ მაყურებლის უფლებები, რომლებიც მედიას ენდობიან. რა არის მედიის მთავარი პრინციპები და ფასეულობები, რა ზიანი შეძლება მოიტანოს.

ჟურნალისტის მხრიდან პროფესიული მორალის სერიოზულმა დარღვევამ. კურსი საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაითავისონ პროფესიული ქცევის ნორმები და მოახდინონ მათი პრაქტიკაში დამკვიდრება.

ანტიკრიზისული მართვა

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია ორგანიზაციებში კრიზისების, მათი დიაგნოსტიკის და მართვის შესახებ.

პერსონალის მართვა

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია ორგანიზაციის დონეზე კომუნიკაციური ქსელის ფორმირების, ამ ქსელის სათანადო პერსონალით შევსების, არსებული თანამშრომლობის და ურთიერთკავშირის რეგულირების შესახებ.

ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა

საწავლო კურსის მიზანია სახელმიწო ბიუჯეტის, როგორც სახელმწიფო შემოსავლებისა, ხარჯების კატეგორიათა სისტემის შესწავლა, რომელიც

ხასიათდება სახელმწიფოს ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი ფულადი სახსრების მობილიზაციითა და მართვით.

ლოგიკა

სალექციო კურსი სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეისწავლონ აზროვნების ლოგიკური პროცესი, იმის გარკვევა, თუ რას ნიშნავს სწორი დასაბუთება, რა განსხვავებაა სწორ და მცდარ დასკვნებს შორის, არსებობს თუ არა დასაბუთებაში შეცდომის აღმოჩენის წესები, როდის გვაძლევს მოცემული მსჯელობა ან მსჯელობათა ჯგუფი შესაძლებლობას, მათგან სწორად გამოვიყვანოთ ზოგიერთი სხვა მსჯელობა. კურსის გავლის შედეგად სტუდენტი დაეუფლება: დასაბუთებაში შეცდომის აღმოჩენის წესებს; მოკამათეთა ურთიერთობის პრინციპებს; კამათის წარმართვის ხერხებს; დაცვის და შეტევის ლოგიკურ წესებს კამათში და სხვ.

მასობრივი კომუნიკაციის საფუძლები (5 კრედიტი)

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მასობრივი კომუნიკაციის არსს, თანამედროვე საინფორმაციო სისტემებს, მასობრივი კომუნიკაციის აუდიტორიას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემის სტრუქტურასა და ტიპოლოგიას; წარმოდგენას შეიქმნან თანამედროვე საინფორმაციო სივრცისა და საინფორმაციო საზოგადოების, პოსტმოდერნისტული/ინფორმაციული ეპოქის ინფორმაციული გამოწვევების არსზე, ახალი მედიის შესაძლებლობებზე, მედიაზემოქმედების ფენომენზე, გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ქართული რეალობის ადაპტაციასა და ჩართულობაზე.

პოლიტიკურიკონფლიქტისმართვა

კურსიშეასწავლისდიპლომატიისროლსპოლიტიკურიკონფლიქტების, საერთაშორისოურთიერთობებისაქტუალურისაკითხებისდაპრობლემებისგადაჭრაში. ასევეკონფლიქტებისთეორიას, კონფლიქტოლოგიისკვლევისმეთოდებსდაეტაპებს, პოლიტიკურიკონფლიქტებისტიპებს, პოლიტიკურიკონფლიქტებისგამომწვევმიზეზებს, კონფლიქტისდინამიკას, პოლიტიკურიკონფლიქტისრეგულაციისდამოგვარებისგზებს.

საქართველოს ისტორია

სასწავლო კურსი შეასწავლის საქართველოს ისტორიას უხსოვარი დროიდან დღემდე. კურსში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაზე.

პოლიტიკური ხელისუფლების თეორია

კურსში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური ხელისუფლების თეორიების სწავლებისადმი; ასევე პატარა ქვეყანის პოლიტიკური ხელისუფლების მიერ წარმართული საშინაო მმართველობის და საგარეო პოლიტიკის თავისებურებების შესწავლისადმი სტუდენტებისათვის.

ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში

სასწავლო კურსი შეასწავლის ბოლო ათწლეულში ქართულ პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს; ქვეყანაში აქტიურად მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს; ხელისუფლების და სხვადასხვაპოლიტიკურიპარტიების, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ურთიერთმიმართებებს და მათ როლსა და ადგილს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.